საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა

„09" 11 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1506/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 5 ნოემბრის N M2251R1 განცხადებით კომპანიის „ჰიულეტ-პაკარდ დეველოპმენტ კომპანი, ლ.პ."-ს (მის:11445 კომპაქ სენტერ დრაივ უესტი, ჰიუსტონი, ტეხასი 77070, აშშ) წარმომადგენელმა გიორგი სარაჯიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „HEWLETT PACKARD" (რეგ. N 2251) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „HEWLETT PACKARD" (რეგ. N 2251) საქართველოში რეგისტრირებულია 05.06.1996 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 05.06.2016 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე–16 და 42–ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „HEWLETT PACKARD" (რეგ. N 2251) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში მე–16 კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 135, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 09.11.2012).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტს; კომპანიის „ჰიულეტ-პაკარდ დეველოპმენტ კომპანი, ლ.პ."-ს წარმომადგენელს გიორგი სარაჯიშვილს (მის: რუსთაველის გამზ. №18, II სართული, ქ. თბილისი).

ასლი დედანთან სწორია
"9" 11 2016 წ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: HEWLETT PACKARD

რეგ. N 2251

მფლობელი: ჰიულეტ-პაკარდ დიველოპმენტ კომპანი, ლ.პ.

11445 კომპაქ სენტერ დრაივ უესტი, ჰიუსტონი, ტეხასი 77070 , აშშ

კლასი:

16 - ახალი ამბების ყოველკვირეული შენარჩევი, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები, პამფლეტები, წიგნები, კატალოგები, სტატიების რეპრინტები, საინფორმაციო ფურცლები, ანოტაციები, ტექნიკური ბიულეტენები, სისტემათა მომსახურების სახელმძღვანელოები; ქაღალდი, საწერკალმები შეტანილნი მე-16 კლასში; შტამპების თავები.

42 - დამხმარე მომსახურება კომპიუტერების, ელექტრონულ, სიგნალიზაციის, გამზომ, მონაცემთა დამუშავების, ანალიტიკურ და სამედიცინო საქონელზე; რადიოქსელების დაგეგმვისა და მართვის მომსახურება; მომსახურება კომპიუტერულ პროგრამირებაში; გამზომი და გამომთვლელი სისტემების დიზაინი;

კომპიუტერების, ელექტრონული, სიგნალიზაციის, გამზომი, მონაცემთა დამუშავების, ანალიტიკური და სამედიცინო საქონლის იჯარაში გადაცემის და გაქირავების მომსახურება; ფოსტითა და ტელეფონით ინდივიდუალური შეკვეთების მომსახურება მონაცემთა დამუშავების, საანგარიშო, სამედიცინო და ანალიტიკურ საქონელზე.